# აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის უკრაინის, საქართველოს და მოლდოვისა ეროვნული პლატფორმების ერთობლივი განცხადება უკრაინის, საქართველოს და მოლდოვისა ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადის შესახებ

ჩვენ, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს ეროვნული პლატფორმები ვგმობთ რუსეთის ფედერაციის თავდასხმას და უპრეცენდენტო აგრესიას უკრაინაზე.

სოლიდარობას ვუცხადებთ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის უკრაინის ეროვნულ პლატფორმას, ყველა მასში შემავალ ორგანიზაციას და სრულიად უკრაინას.

გაუმართლებელია რუსეთის ფედერაციის განზრახვა მოკლას უკრაინელი ხალხის თავისუფლებისკენ ლტოლვა და ხელყოს ქვეყნის სუვერენიტეტი.

ჩვენ, უკრაინამ, მოლდოვამ და საქართველომ, კარგად ვიცით რუსეთის ფედერაციის საშიში სურვილი, დაჩაგროს, დაშალოს და დაიმორჩილოს ჩვენი ქვეყნების თავისუფლების მოყვარული მოქალაქეები.

ჩვენმა ქვეყნებმა გააკეთეს საკუთარი არჩევანი. გვსურს გავხდეთ ევროკავშირის ოჯახის სრულფასოვანი წევრები და ჩვენს მომავალს ამ სივრცეში ვხედავთ. ამ ღირებულებითი გადაწყვეტილებებისთვის ჩვენი ქვეყნები უკვე მრავალი წელია ვიხდით დიდ საფასურს. დღეს, თავისუფალი უკრაინელი ხალხი იბრძვის დემოკრატიისთვის, თავისუფლებისთვის, ევროპული ღირებულებებისთვის, იცავს ცივილიზებულ სამყაროს, მთელს ევროპულ ოჯახს და ეს ფასი გადის უკრაინელ ბავშვებზე, ზრდასრულებზე, სამოქალაქო პირებზე. მსხვერპლი დიდია და უკრაინელი ხალხის თავგანწირული ბრძოლა შთამბეჭდავია.

დღეს, უკრაინა ცივილიზირებული სამყაროსგან ელის უპირობო სოლიდარობას, კონკრეტულ და ხელშესახებ დახმარებას მიმდინარე არათანაბარ ომში.

ჩვენმა ქვეყნებმა მრავალი წლების განმავლობაში და განსაკუთრებით სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობით განვახორციელეთ არაერთი წარმატებული ცვლილება, ხელი შევუწყვეთ ჩვენი ეროვნული კანონმდებლობების გაუმჯობესებას, ჰარმონიზაციას და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას. მუდმივად ვადასტურებთ მკაფიო და საყოველთაო დასავლურ ცივილიზაციურ არჩევანს. დღეს, ამ მიღწევების შენარჩუნება მამაცი უკრაინელი ხალხის ბრძოლის ველზე გადის.

მივესალმებით საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფოების განაცხადს ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით. მივესალმებით ევროკავშირის რიგი ქვეყნების მხარდაჭერას უკრაინისთვის ევროკავშირში დაჩქარებული წესით კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას და, შესაბამისად, ევროკავშირში გაწევრიანებას. აუცილებელია უკრაინასთან ერთად მოლდოვასა და საქართველოსაც დაჩქარებული წესით მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი ევროკავშირში შემდგომი გაწევრიანების მიზნით და ამით მტკიცედ გაეცეს პასუხი რუსეთის ფედერაციის თავგასულ თავდასხმას და აგრესიას ჩვენი ქვეყნების თავუსუფალ არჩევანზე.

უკრაინის, მოლდოვის და საქართველოს მოქალაქეები ელიან ევროკავშირის ამ მტკიცე გადაწყვეტილებას, რათა გაძლიერდეს და დაჩქარდეს ჩვენი ქვეყნების ევროპის საერთო ოჯახში სრულყოფილი წევრობის პროცესი.

მოვუწოდებთ დასავლეთს კიდევ უფრო გაამკაცროს ზეწოლა რუსეთის ფედერაციაზე და აიძულოს იგი დატოვოს უკრაინის ტერიტორია.

ვუსერვებთ უკრაინელ ხალხს გამძლეობას, მხნეობას და გამარჯვებას.

უკრაინის ეროვნული კოორდინატორი - იური ვდოვენკო
საქართველოს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე - ნინო ჩხობაძე
მოლდოვის ეროვნული კოორდინატორი - ადრიან ლუპუსორი